ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა

და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 11

ქ.ვანი თავისუფლებისN65 4 ოქტომბერი 2018 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარძეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, ამირან ტალახაძე, ვლადიმერ ჭვალაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: ეთერ ჭიჭინაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი.
სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **მიხეილ სვანაძე.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის 2018 წლის ანგარიშის მოსმენა დღეის მდგომარეობით.

მომხს: მიხეილ სვანაძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის 2018 წლის ანგარიში დღეის მდგომარეობით და მომხსენებელმა განმარტა, რომ ფაქტობრივი შესრულება 2018 წლის 26 სექტემბრის მგომარეობით გადანაწილებული არის სხვდასხვა პროგრამებზე. კერძოდ;

ახალშობილთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევა 120000 ლარი.
დიალეზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება 41000 ლარი.
მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარების პროგრამა 30000 ლარი.
დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა 8000 ლარი.
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 30000 ლარი.
პროგრამების ჩამონათვალი უფრო ვრცლად დანართის სახით თან ერთვის.
სულ პროგრამების დასახელების ჯამი პროგრამული ბიუჯეტით შეადგენს 667300 ლარს.
კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა მოიწონეს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ საკითხს. კომისიის მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

/დანართი 2/

დაადგინეს:

კომისიის წევრებმა მოიწონეს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის 2018 წლის ანგარიში დღეის მდგომარეობით.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე